

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

## ოქმი N 12

ქ.ვანი თავისუფლების N65

7 ნოემბერი 2019 წელი

12: 00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, მალხაზ ცერცვაძე.

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ:** შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ზიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

*/დანართი N1/*

### **მოწვეული პირი:**

*ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი - მამუკა ნამიჭეიშვილი*

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

## დღის წესრიგი

1.ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

2.ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

3.ვანის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

## **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ განკარგულების დანართში მოხდეს პროექტის ცვლილება და დაემატოს ახალი პროექტები:

ამოღებული იქნას პროექტი:

ზედა ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ზედა ვანში ბოგირის რეაბილიტაცია /ტ. ჩახუნაშვილის სახლთან/ ღირებულება 1666 ლარი.

დაემატოს ახალი პროექტები:

ზედა ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდეს გარე განათების ბილინგი: სოფ. ზედა ვანში (მაგნიძეები, აბრამიძეების უბანში) 800 ლარი და სოფ. ტყელვანში (ბიბილეიშვილების უბანი) 400 ლარი.

ზედა ვანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ტყელვანში წყალის მილების შექმნა ღირებულება 466 ლარი .

კომისიის მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა

/ დანართი: N2/

მომხრე - 7

წინააღმდეგი-არცერთი

## **დაადგინეს:**

ცვლილება იქნას შეტანილი ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში .

## **მოისმინეს :**

დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-2 და მე-3 საკითხებთან დაკავშირებით ისაუბრა ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მიმდინარეობის შესახებ და ასევე ვანის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ.

კომისიის წევრებმა წარმოდგენილი საკითხები მიიღო ცნობის სახით რომლის, მიმართ შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

/დანართი: N3/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

## **გია გოგიბერიძე**

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე